სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების და კანდიდატთა რეგისტრაციის შესახებ

განცხადება

1. გამოცხადდეს კონკურსი და დაიწყოს კანდიდატთა რეგისტრაცია სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად;
2. კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:
   ა) უმაღლესი განათლება (მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
   ბ) სამოქმედო გეგმისა და კონცეპციის წარმოდგენა;
3. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევნები გამოცხადდეს 2014 წლის 3 იანვრიდან;
4. კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს 2014 წლის 13 იანვრის 10:00 საათიდან მისამართი ქ. თელავი ქართული უნივერსიტეტის ქუჩა N1 (პირველი სასწავლო კორპუსი მეორე სართული ოთახი N33) და დასრულდეს 2014 წლის 20 იანვრის 17:00 საათზე;
5. აკადემიური საბჭოს მიერ კანდიდატთა შემოსული განცხადებების განხილვისა და კონკურსის საფუძველზე შერჩეული კანდიდატურის წარმომადგენლობითი საბჭოსათვის წარდგენის ბოლო დღედ განისაზღვროს 2014 წლის 30 იანვარი;
6. კანდიდატმა სარეგისტრაციოდ უნდა წარმოადგინოს:
   ა) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი მოწმობის ასლი (მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი);
   ბ) სამოქმედო გეგმა;
   გ) ავტობიოგრაფია;
   დ) 2 ფერადი ფოტოსურათი, ზომით ¾-ზე;
   ე) ცნობა ნასამართლეობის შესახებ;
   ვ) ცნობა ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ;